განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„რაჭის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

კანონპროექტის მიღება განპირობებულია რაჭის დაცული ტერიტორიების შექმნის/გაფართოვების შესაძლებლობის კვლევით მიღებული შედეგებით. 2024 წელს BMZ/KFW მიერ დაფინანსებული პროგრამის - „ბიომრავალფეროვნება და მდგრადი ადგილობრივი განვითარება საქართველოში“ ფინანსური მხარდაჭერით 2024 წელს განხორციელდა რაჭის ეროვნული პარკის მიმდებარე ზონის მდგრადი მართვის შესაძლო მექანიზმების ანალიზი. დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების საფუძველზე, ამ ტერიტორიის მართვის ოპტიმალურ მექანიზმად მიჩნეულ იქნა სხვადასხვა კატეგორიის დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება. კერძოდ, რაჭის ეროვნული პარკის გაფართოვება და ამბროლაურის დაცული ლანდშაფტისა და ბუნების ძეგლების დაარსება.

რაჭის დაცული ტერიტორიების გაფართოვების საკითხი შეთანხმებულ იქნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაინტერესებულ უწყებებთან, ასევე რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონულ ხელისუფლებასთან, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობასთან, ადგილობრივ მოსახლეობასთან და ადგილობრივ არასამთავრობო და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან.

წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილების პროექტით ხორციელდება რაჭის ეროვნული პარკის გაფართოვება; ამბროლაურის დაცული ლანდშაფტის შექმნა; უშოლთის მღვიმის ბუნების ძეგლის შექმნა; კიდობანას მღვიმის ბუნების ძეგლის შექმნა; საკიშორის მღვიმის ბუნების ძეგლის შექმნა, მურადის მღვიმის ბუნების ძეგლისა და შარეულას მღვიმის ბუნების ძეგლის შექმნა.

რაჭის დაცული ტერიტორიებისათვის შემოერთებული ტერიტორია აკმაყოფილებს, როგორც „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ასევე მე-6 მუხლის პირველის პუნქტითა და მე-8 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, იგი ეხმიანება საერთაშორისო კონვენციას ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ (CBD - Convention on Biological Diversity; საქართველო მხარეა 1994 წლიდან), სახელდობრ - 2022 წლის დეკემბერში ბიომრავალფეროვნების კონვენციის მხარეთა მე–15 კონფერენციაზე დამტკიცებულ „კუნმინგ-მონრეალის ბიომრავალფეროვნების გლობალური ჩარჩოს“ ხედვას: „2050 წლისთვის ბუნებასთან ჰარმონიაში ცხოვრება“ – მიღწევაში და დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებულ მის მიზანს (3).“

ძირითადი ტერიტორია, რომელზეც ხორციელდება რაჭის ეროვნული პარკის გაფართოვება მდებარეობს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, სადაც ძირითად ლანდშაფტს წარმოადგენს ფოთლოვანი და შერეული ტყე, დასავლეთის ექსპოზიციის ფერდობებზე გვხვდება მთლიანად წიწვოვანი კორომები ან შერეული ტყეები წიწვოვანი ტყეების უპირატესობით. ჩამოყალიბებულია სუბალპური და ალპური მდელოები. სამიზნე ტერიტორიაზე არის სუბნივალური და ნივალური სარტყლებიც მუდმივი თოვლითა

და მცირე ზომის მყინვარებით. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კარგადაა გამოხატული ტყის, სუბ-ალპური, ალპური, სუბნივალური და ნივალური სიმაღლებრივი სარტყლები. ტყის სარტყელში განვითარებულია შერეული ფართოფოთლოვანი და მუხნარი ტყეები ზ.დ. 1000-1200 მ სიმაღლეზე. ექსპოზიციისა და ჰიფსომეტრიულობის ცვლილებასთან ერთად საკმაოდ მრავალფეროვანია ფოთლოვანი ტყეების ტიპები. ედიფიკატორებს წარმოადგენს - *Fagus orientalis, Carpinus betulus, Acer platanoides, Castanea sativa, Quercus iberica, Acer laetum, Tilia begoniifolia*, გვხვდება ასევე *Ulmus elliptica*.

გაფართოვებული ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გამოვლენილი წითელი ნუსხის მცენარეთა სახეობებია: *Castanea sativa Mill (VU); Buxus colchica Pojark(VU); Quercus macranthera Fisch et Mey (VU); Taxus baccata L (VU); Ulmus glab ra Huds (VU); Juglans regia L (VU); Pterocarya pterocarpa (Michx.) Kunth(VU).*

ტყის მცენარეულობა საგრძნობლად იცვლება ზღვის დონიდან სიმაღლის მატებასთან ერთად. სუბალპურ სარტყელში ტყეები 2200-2400 მ სიმაღლეზე მხოლოდ ფრაგმენტულად გვხვდება და ქმნის პატარ-პატარა კორომებს. მთაში ტყეების ზედა საზღვრებს ქმნის ლიტვინოვის არყი (*Betula litwinowii*), ცირცელი (*Sorbus caucasigena*), მდგნალი (*Salix caprea*), მაღალმთის ნეკერჩხალი (*Acer trautvetteri*), მთრთოლავი ვერხვი (*Populus tremula*), სუბალპური ტყის ფიზიონომიური ტიპებიდან აღსანიშნავია ტანბრეცილი არყნარები და ფიჭვნარები, პარკული ტიპის ტყეები *Acer trautvetteri*-ს მონაწილეობით. სუბალპური ბუჩქნარებიდან აღსანიშნავია ხუნწი (*Ribes biebersteinii*), დეკა (*Rhododendron caucasicum*), მაჯაღვერი (*Daphne mezereum*), იელი (*Rhododendron luteum*), ასკილები (*Rosa)* და სხვ. რაჭის მაღალი მთის (ზ.დ. 1900-2500 მ.) დენდროფლორის სიმდიდრე შეადგენს 32 სახეობას, რომლებიც გაერთიანებულია 11 ოჯახსა და 17 გვარში. რაჭის კავკასიონის ფარგლებში განსაკუთრებული ფლორისტული სიმდიდრით გამოირჩევა სუბალპური და ალპური მეზოფილური ნაირბალახოვანი (*Geranium gymnocaulon, Betonica macrantha, Anthylis variegata, Lotus caucasicus, Trifolium campestre, T. canescens, Vicia grossheimii) და მარცვლოვან-ნაირბალახოვანი (Anthoxanthum odoratum, Bromopsis variegata, Calamagrostis arundinacea, Festuca djimilensis, Dactylis glomerata, Phleum alpinum, Trifolium ambiguum, T. canescens, Pedicularis condensata, Ranunculus elegans, R. raddeanus*) მდელოები.

აქ ფაუნა ტიპიური პალეარქტიკულია და ევროპული მასტოფაუნის ძირითადი მახასიათებლები დღემდე არსებობს. მაგალითად, მურა დათვი *(Ursus arctos*), რუხი მგელი (*Canis lupus*), მელა (*Vulpes vulpes*), ევრაზიული ფოცხვერი (*Lynx Lynx*), ევრაზიული წავი (*Lutra Lutra*), არჩვი (*Rupicarpa rupicarpa*), შველი (*Carpreolus*), ნიამორი (*Capra aegagrus*) და კავკასიის ენდემი - აღმოსავლეთკავკასიური ჯიხვი (*Capra cylindricornis*) და დასავლეთკავკასიური ჯიხვი (*Capra caucasica*), გარეული ღორი (*Sus scrofa*) და სხვა.

გეგმარებითი დაცული ტერიტორიის ფარგლებში ფიქსირდება კავკასიის ენდემი სახეობები და ერთი საქართველოს ენდემი, ასევე მოწყვლადი, გადაშენების ან გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშე მყოფი სტატუსის მქონე სახეობები, საქართველოს (2014 წლის) წითელი ნუსხის სახეობები და ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ კონვენციის (ბერნის კონვენცია) მე-6 რეზოლუციის სახეობები. არც ისე დიდი ხნის წინ, ამ ტერიტორიებზე ბინადრობდა კავკასიური ლეოპარდი, ევროპული ბიზონი და კეთილშობილი ირემი, რომლებიც ლოკალურად გადაშენდნენ.

ფაუნის გავრცელებული სხვა სახეობებიდან აღსანიშნავია:

საქართველოს ენდემი აჭარული ხვლიკი (Darevskia mixta), დინიკის გველგესლა (*Vipera dinniki Nikolskii*), კავკასიური გველგესლა (*Vipera kaznakovi Nikolskii*), კავკასიური ციყვი (*Sciurus anomalus Gmelin*), ქლუხორული თაგვანა (*Sicista kluchorica Sokolov, Kovalskaya et Bascevich),* პრომეთეს მემინდვრია (*Prometheomys schaposchnikovi Satunin*), კავკასიური შურთხი (*Tetraogallus Caucasicus*), ორბი *(Gyps fulvus*), ბატკანძერი (კრავიჭამია) (*Gypaetus barbatus*), მთის არწივი (*Aquila chrysaetos*), ბუკიოტი (*Aegolius funereus*), კავკასიური როჭო (*Lirurus*

mlocosiewiczi), წითელმუცელა ბოლოცეცხლა (*Phoenicurus erythrogaster*), დიდი კოჭობა (*Carpodacus rubicilla*), ყარყატი (*Ciconia nigra*).
წითელი ნუსხის ზოგიერთი სახეობა ამავდროულად კავკასიის ენდემიცაა და მოითხოვს განსაკუთრებულ კონსერვაციას.
ბუნების ძეგლებად წარმოდგენილი კარსტული მღვიმეები წარმოადგენს დასავლეთ საქართველოს კარსტული ზოლის ნაწილს და მდებარეობს საშუალო და მაღალმთიან კირქვულ მასივში. ზოგადად, საქართველოს მთის კარსტი დედამიწის ერთ-ერთი უნიკალური რეგიონია. აქ იკარსტება როგორც ზედაიურული, ასევე ცარცული სისტემისა და ქვედა პალეოგენის ყველა იარუსი და ქვეიარუსი. რაჭაში მდებარე საკიშორეს და უშოლთას კარსტული მღვიმეები საქართველოში უდიდესი მღვიმეების ათეულში შედის. მასივის ტერიტორიაზე სადღეისოდ 45 მღვიმე და უფსკრულია რეგისტრირებული. მღვიმეთა უმეტესობა სუბჰორიზონტალურია, წყლიანი, სიფონური ტბებით და წყალუხვი მიწისქვეშა მდინარეებით. ზოგიერთ მათგანს აქვს სპელეოტურიზმის განვითარების პოტენციალი. აქ გავცელებული უნდა იყოს საქართველოში გავცელებული ღამურების სახეობების უმეტესობა (გარდა *Rhinolophus mehelyi*). მღვიმეებში აღრიცხულია ხელფრთიანების რამდენიმე სახეობა (მაგ.: *Rhinolophus ferrumeguinum* *და* *Rhinolophus hipposideros* ერთეული სახეობები და *Miniopterus schreibersii-ს* უდიდესი კოლონია საქართველოში და სხვა), რომელთაგან ზოგიერთი სახეობა შედის „ევროპული ხელფრთიანების პოპულაციის კონსერვაციის შესახებ“ შეთანხმების, ველური ცხოველების მიგრირებადი სახეობების კონსერვაციის შესახებ და ევროპული ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ კონვენციის დანართებში. მღვიმეებში აგრეთვე აღმოჩენილია ტროგლობიონტები.
ამბროლაურის დაცული ლანდშაფტის ტერიტორია აღსანიშნავია მაღალი ესთეტიკური ღირებულებით გამორჩეული როგორც ბუნებრივი, ასევე ადამიანისა და ბუნებრივი გარემოს ჰარმონიული ურთიერთქმედების შედეგად ჩამოყალიბებული ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტებით. აქ წარმოდგენილია ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციული სამეურნეო საქმიანობა, მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა, ტურიზმი და რეკრეაცია.
დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე განლაგებულია 34 სოფელი და მათი სასოფლო-სამეურნეო-სავარგულები. ისინი მისდევენ მესაქონლეობას, მარცვლეულის მოყვანას და მევენახეობას.
რაჭა ყველა სხვა რეგიონისგან ხარისხიანი ყურძნითა და ძალზე ღრმა, საინტერესო ღვინოებით გამოირჩევა. აქ გავრცელებულია ადგილობრივი ვაზის ჯიშები: ხროგი, ხოტეურა, ძველი ალექსანდროული, ყვირა, ნაცარა და სხვა.
სოფლებში გვხვდება სხვადასხვა პერიოდის ისტორიულ-კულტურული ძეგლები. სოფელ გოგოლეთს, იქ არსებული უნიკალური საცხოვრებელი სახლების გამო, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული. შემორჩენილია ადგილობრივი ტრადიციები და გასტრონომია. ჯერ ისევ ამზადებენ რაჭულ ლორს.
ამასთანავე აღსანიშნავია, რომ დონორი ორგანიზაციების დახმარებით 2027 წლის ბოლომდე ჩატარდება რაჭის ეროვნული პარკის დემარკაცია, რომელიც ზედდების შემთხვევაში გამიჯნავს ეროვნული პარკის საზღვრებს მოსახლეობის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული ტერიტორიებიდან.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მომზადებული იქნა კანონის პროექტი „რაჭის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

„დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად, საქართველოში დაცული ტერიტორიების შექმნის, ტერიტორიული გაფართოებისა და დაცვითი კატეგორიის ამაღლების გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პარლამენტი. შესაბამისად, ახალი დაცული ტერიტორიის დასაარსებლად და არსებულის გასაფართოებლად, საჭიროა მიღებულ იქნეს კანონი.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღების შედეგად, რაჭის ეროვნული პარკის ფართობი იზრდება 4759 ჰექტრით, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ხარჯზე. ასევე ამბროლაურის და ონის მინიციპალიტეტში იქმნება ხუთი ბუნების ძეგლი: საკიშორის მღვიმის ბუნების ძეგლი, შარეულას მღვიმის ბუნების ძეგლი, უშოლთის მღვიმის ბუნების ძეგლი, მურადის მღვიმის ბუნების ძეგლი და კიდობანას მღვიმის ბუნების ძეგლი, რომელთა მართვასაც განახორციელებს რაჭის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში იქმნება ამბროლაურის დაცული ლანდშაფტი 50 240,4 ჰექტარზე, რომელსაც დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მართავს ამბროლაურის მუნიციპალიტეტი.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტი შედგება 3 მუხლისგან, რომლებიც თანმიმდევრულად ასახავენ კანონპროექტის ძირითად დებულებებს.

კანონპროექტის პირველი მუხლით განსაზღვრულია რაჭის ეროვნული პარკის, საკიშორის მღვიმის ბუნების ძეგლის, შარეულას მღვიმის ბუნების ძეგლის, კიდობანას მღვიმის ბუნების ძეგლის, უშოლთას მღვიმის ბუნების ძეგლის, მურადის მღვიმის ბუნების ძეგლის მდებარეობა და ფართობი, საზღვრები და ის ტერიტორიები, რომლებიც სამართავად უნდა გადაეცეს დაცული ტერიტორიების სააგენტოს. ასევე, ამბროლაურის დაცული ლანდშაფტის ფართობი, საზღვრები და ის ტერიტორიები, რომლებიც სამართავად უნდა გადაეცეს ამბროლაურის მუნიციპალიტეტს და დამხმარე ზონის (მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის) დამატებითი სოფლების ჩამონათვალი და ფართობი.

ასევე, გარდამავალი დებულებებით გათვალისწინებულია რაჭის ეროვნული პარკისა და ამბროლაურის დაცული ლანდშაფტის მდებარეობისა და ფართობის დროებითი მოწესრიგება, რომელიც იმოქმედებს 2031 წლის 1 იანვრამდე.

მე-2 მუხლით განსაზღვრულია, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ამ კანონის ამოქმედებიდან 5 წლის შემდეგ, განიხილავს ამბროლაურის დაცული ლანდშაფტის გეორგრაფიული კოორდინატებით განსაზღვრული სახელმწიფო ტყის ან მისი ნაწილის ამბროლაურის მუნიციპალიტეტისთვის მართვის უფლებით გადაცემის საკითხს.

მე-3 მუხლით კი განსაზღვრულია კანონის ამოქმედების თარიღი - 2026 წლის 1 იანვარი.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

კანონპროექტი შეესაბამება 2025-2028 წლების სამთავრობო პროგრამას - „მხოლოდ მშვიდობით ღირსებით კეთილდღეობით ევროპისკენ “ (პროგრამის 2.12 ქვეთავის (გარემოს დაცვა)): „განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება დაცული ტერიტორიების გაფართოებისა (რაჭალეჩხუმი და ქვემო სვანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი) და განვითარების

მიმართულებაზე. 2028 წლისათვის დაცული ტერიტორიების ფართობი დამატებით 100 000 ჰექტარით გაიზრდება"
გარდა ამისა, 2022 – 2026 წლებისთვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამის ამოცანა 11.1-ის თანახმად, 2026 წლისთვის საქართველოში დაცული ტერიტორიების ფართობი უნდა გაიზარდოს ქვეყნის ტერიტორიის 15%-მდე.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:
კანონპროექტის ძალაში შესვლა გათვალისწინებულია 2026 წლის პირველი იანვრიდან. ეს თარიღი განისაზღვრა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნება კანონის აღსრულებისათვის საჭირო ფინანსები. ამასთან, კანონპროექტით გათვალისწინებულია, რომ 2031 წლის პირველი იანვრიდან, ამბროლაურის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიის ნაწილს, კერძოდ, 21 838 ჰექტარს ენიჭება ეროვნული პარკის სტატუსი და გადადის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცული ტერიტორიების სააგენტოს მართვაში. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნულ სატყეო სააგენტოს აღნიშნულ - 21 838 ჰექტარ ტერიტორიაზე დაგეგმილი აქვს სატყეო-სამეურნეო ღონისძიებები (სამეურნეო ჭრა, ტყის მოვლა-აღდგენის ღონისძიებები), რომელთა ნაწილი ამჟამად მიმდინარეობს კიდეც. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ტერიტორიისათვის ეროვნული პარკის სტატუსის მინიჭების ვადამ გადაიწია 2031 წლის პირველი იანვრისათვის. შესაბამისად, კანონპროექტის მე-3 და მე-5 პუნქტები ამოქმედდება 2031 წლის პირველი იანვრიდან.
ამასთან, კანონპროექტი არ ითვალისწინებს კანონისათვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ არის მოთხოვნილი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალო ვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:
2026 წელს, სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის დამატებით საჭირო იქნება დაახლოებით 214 860 ლარი, მთლიანად დაფინანსდება დონორი ორგანიზაციებისგან. მომდევნო სამ წელიწადში (2027-2029 წწ) დაფინანსებას სრულად უზრუნველყოფენ დონორი ორგანიზაციები.
რაც შეეხება ამბროლაურის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციას, 2026 წელს, სახელმწიფოს ბიუჯეტიდან გამოყოფილი უნდა იქნას 694 532 ლარი. ხოლო მომდევნო სამ წელიწადში (2027-2029 წწ), ყოველწლიურად, ადმინისტრაციისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან საჭირო იქნება შემდეგი თანხების გამოყოფა: 2027 წ.– 467 482 ლარი, 2028 წ.– 390 727 ლარი, 2029 წ.–394 302 ლარი).

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილზე. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილზე გავლენა ექნება იმ კუთხით, რომ ამბროლაურის მუნიციპალიტეტზე ხდება დაცული ლანდშაფტის მართვის უფლებამოსილების დელეგირება და შესაბამისად მოხდება მიზნობრივი ტრანსფერის მიცემა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რაც 2026 – 2029 წლებში უნდა იყოს დაახლოებით 1 947 043 ლარი (დეტალურად ჩაშლილია „ბ.გ" ქვეპუნქტში).

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს, კანონპროექტი იქონიებს მასზე გავლენას. კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტში დამატებით შევა დაცული ტერიტორიების 24 ახალი თანამშრომლის მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადი (დაახლოებით 84 000 ლარი წელიწადში). ასევე, კანონპროექტმა გავლენა სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე შეიძლება მოახდინოს იმ თავლსაზრისითაც, რომ დაცულ ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა გაზრდის ვიზიტორების რაოდენობას, რაც გაზრდის სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ბიუჯეტის შემოსავლებსაც, რაც შესაბამისად გაზრდის სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელ თანხებს. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც რომ რაჭის დაცულ ტერიტორიაზე არ გავრცელდება დაცული ტერიტორიის შექმნიდან გამომდინარე შეზღუდვები ამ კანონის ამოქმედებამდე არსებულ ქონებრივ, წიაღით სარგებლობის და „ნავთობისა და გაზის ოპერაციებით" გათვალისწინებულ ურთიერთობებზე, სარგებლობის ლიცენზიებზე და შესაბამისად კანონპროექტი ამ მხრივ გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტი იქონიებს გავლენას როგორც 2026 წლის, ასევე, 2027-2029 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის ყოველწლიურად დამატებით თანხის გამოყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ იქნება საჭირო, ვინიდან რაჭის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია ფუნქციონირებს და მისი დაფინანსება ხორციელდება დონორი ორგანიზაციის მიერ. 2026 წელს რაჭის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია დონორის მიერ დაფინანსედება შემდეგი პროპორციით (ცხრ. N1):

ცხრილი N1

რაჭის ეროვნული პარკის ბიუჯეტი 2026 წლის 1 იანვრიდან	**ლარი**
სულ	**214 860**
მ.შ. შრომის ანაზღაურება	64 860
საქონელი და მომსახურება	50 000
კაპიტალური ხარჯი	100 000

რაჭის ეროვნული პარკის მართვას განახორციელებს უშუალოდ სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს რაჭის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია, რომელიც უკვე ფუნქციონირებს, მაგრამ ტერიტორიების მიმატების შემდეგ დამატებით დასჭირდება 4

საშტატო ერთეული (სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ მოითხოვს აღნიშნული 4 შტატის დაფინანსებას) (ცხრ. N2).

ცხრილი N2

№	თანამდებობა	რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო (ლარი)	სულ წლის განმავლობაში (ლარი)
1	უბნის უფროსი რეინჯერი	1	1463	17556
2	რეინჯერი	3	1314	47304
სულ				**64 860**

კანონპროექტი იქონიებს გავლენას როგორც 2026 წლის, ასევე, 2027-2029 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, ვინაიდან უნდა ჩამოყალიბდეს ამბროლაურის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია. 2026-2029 წლების სახელმწიფო ბიუჯეტებიდან ამბროლაურის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციისათვის, დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, გამოყოფილი უნდა იქნას დაახლოებით 1 947 043 ლარი (2026 წ. – 694 532 ლარი; 2027 წ.– 467 482 ლარი, 2028 წ.– 390 727 ლარი, 2029 წ.–394 302 ლარი) რომელიც საჭირო იქნება ამბროლაურის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის. ეს ასიგნებები გათვალისწინებული იქნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი წლების ბიუჯეტებში. 2026 -2029 წლების თანხების გადანაწილება მოცემულია ცხრილ N3-ში.

ცხრილი N3

ამბროლაურის დაცული ლანდშაფტის ბიუჯეტი **2026 წელი**	**თანხა (ლარი)**
სულ	694 532
მ.შ. შრომის ანაზღაურება	355 032
საქონელი და მომსახურება	29 500
არაფინანსური აქტივების ზრდა	310 000
2027 წელი	
სულ	467 482
მ.შ. შრომის ანაზღაურება	355 032
საქონელი და მომსახურება	29 500
არაფინანსური აქტივების ზრდა	82 950
2028 წელი	
სულ	390 727

მ.შ. შრომის ანაზღაურება	355 032
საქონელი და მომსახურება	25 000
არაფინანსური აქტივების ზრდა	10 695
2029 წელი	
სულ	394 302
მ.შ. შრომის ანაზღაურება	355 032
საქონელი და მომსახურება	29 000
არაფინანსური აქტივების ზრდა	10 270

ამბროლაურის დაცული ლანდშაფტის მართვას განახორციელებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, ამბროლაურის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის მეშვეობით, რისთვისაც ადმინისტრაციაში განსაზღვრულია 20 საშტატო ერთეული (ცხრ. N4).

ცხრილი N4

№	თანამდებობა	რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო (ლარი)	სულ წლის განმავლობაში (ლარი)
1	დირექტორი	1	3212	38544
2	ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი/იურისტი	1	1694	20328
3	ბუღალტერი	1	1210	14520
4	შესყიდვების სპეციალისტი	1	1210	14520
5	საქმისმწარმოებელი	1	1100	13200
6	დაგეგმვისა და მდგრადი განვითარების განყოფილების უფროსი	1	1694	20328
7	ტურიზმისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი	1	1320	15840
8	ინფრასტრუქტურის და ურბანული განვითარების სპეციალისტი	1	1320	15840
9	ბუნებრივი რესურსების მართვისა და დაცვის განყოფილების უფროსი	1	2190	26280

10	ბიომრავალფეორვნების და ეკოგანათლების სპეციალისტი	1	1320	15840
11	რეინჯერი	9	1317	142236
12	უფროსი რეინჯერი	1	1463	17556
სულ წლიური შრომის ანაზღაურება				**355 032**

კანონპროექტი, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, ასევე გავლენას იქონიებს 24 საშტატო ერთეულის დამატების შედეგად საპენსიო შენატანების კუთხითაც. გავლენის ოდენობა დამოკიდებული იქნება დაგროვებით საპენსიო სქემაში ჩართულ პირთა რაოდენობასა და მათ შრომის ანაზღაურებაზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები. აგრეთვე, კანონპროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღებ პირდაპირ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზეც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტი იქონიებს გავლენას იმ 24 პირის მიმართ, რომლებიც დასაქმდებიან რაჭის ეროვნული პარკის და ამბროლაურის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციებში, ამ კანონით განსაზღვრული ტერიტორიის დაცვის მიზნით. ვინაიდან, რაჭის დაცულ ტერიტორიებზე არ გავრცელდება დაცული ტერიტორიის შექმნიდან გამომდინარე შეზღუდვები ამ კანონის ამოქმედებამდე არსებულ ქონებრივ, წიაღით სარგებლობის და „ნავთობისა და გაზის ოპერაციებით“, სარგებლობის ლიცენზიებით გათვალისწინებულ ურთიერთობებზე, შესაბამისად ამ კანონის მიღება გავლენას არ მოხდენს მათ საქმიანობაზე. ამასთან, კანონპროექტის მიღებამ შეიძლება დადებითად იმოქმედებს იმ პირებზე, რომელთა მიწის ნაკვეთებიც დაცული ტერიტორიის საზღვრებთან ახლოს აღმოჩნდება ან დაცულ ლანდშაფტში, რადგან არსებული გამოცდილების გათვალისწინებით, დაცული ტერიტორიის სიახლოვე გაზრდის მათი უძრავი ქონების ფასს. ასევე, დაცული ტერიტორიის ინფრასტრუქტურული განვითარება გაზრდის ამ ტერიტორიაზე ვიზიტორების (ტურისტების) რაოდენობას, რაც შესაბამისად, ადგილობრივი მოსახლეობისთვის, რომელიც დაკავებულია მომსახურების სფეროთი, სასოფლო/სამეურნეო დანიშნულების პროდუქციის მოყვანით, ტურიზმით და ა.შ. დამატებით შემოსავლის წყაროებს გააჩენს ან/და არსებულ

შემოსავალს გაზრდის. ასევე, რაჭის დაცული ტერიტორიის შექმნა არ შეზღუდავს არსებულ ქონებრივ ურთიერთობებსაც და ამ ტერიტორიაზე უძრავი ქონების მესაკუთრე/მფლობელ/მოსარგებლე პირებს ექნებათ სრული შესაძლებლობა, შეუფერხებლად განახორციელონ მათ საკუთრებაში/მფლობელობაში/სარგებლობაში არსებულ უძრავ ქონებებზე სამოქალაქო-სამართლებრივ უფლებათა რეგისტრაცია.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:
კანონპროექტი არ ითავლისწინებს გადასახადის, მოსაკრებელის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) შემოღებას.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:
კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ზეგავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ[2]) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:
კანონპროექტის მიღებას არ აქვს მოსალოდნელი ზეგავლენა ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, კანონპროექტის მომზადება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტი შემუშავდა დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციის დახმარებით.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცული ტერიტორიების სააგენტო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.